



საქართველო
ლაგოდეხი, ქიზიკის ქ. № 25
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.
LAGODEKHI
2700 GEORGIA
LAGODEKHI MUNICIPALITY
SAKREBULO TEL: (+995354)221414



№ 36-ი

17 / სექტემბერი / 2020 წ.

განკარგულება

ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის მემორანდუმზე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კაბალში, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის (SOCAR) წარმომადგენლობას სურს ააშენოს საბავშვო ბაღი, რომელსაც საჩუქრად გადასცემს სახელმწიფოს, აღნიშნული მიზნის მისაღწევად შემუშავებული იქნა ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მხარეებს წარმოადგენენ უცხოური სანარმოს ფილიალი „აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში“ მეორე მხრივ, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, მესამე მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და მეოთხე მხრივ, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, მემორანდუმის მიზანია: „სოკარის მიერ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კაბალში საბავშვო ბაღის შენობის აშენებისა და შემდგომში სახელმწიფოსათვის საჩუქრად გადაცემის მიზნით, მხარეებს შორის თანამშრომლობისა და ხელშეწყობის განზრახვის დადასტურება“. მემორანდუმში განვიხილავთ რიგი ვალდებულებები რომელსაც ზემოთ აღნიშნული მიზნის მისაღწევად კისრულობენ მხარეები. \

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, მუნიციპალიტეტის სახელით ხელი მოაწეროს ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის მემორანდუმის წარმოდგენილ რედაქციას (დანართის შესაბამისად) და განახორციელოს მუნიციპალიტეტის სახელით ნაკისრი ვალდებულებები.


მუხლი 2

განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულების გასაჩივრება დაინტერესებული პირის მიერ შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გურჯაანის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გურჯაანი სანაპიროს ქ. №22).

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელემენტრულად 

კარლო ჯამბურია